ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2023 წლის 3 მაისი

ქ. ახმეტა

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის №34 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 07/04/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.162.016570) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დადგენილების დანართი №1-ის:

1. პირველი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მერიის ჯანდაცვის, ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ – მერია) პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას; მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელებას; ჯანდაცვის მუნიციპალური ობიექტების მართვის მონიტორინგს; უმუშევართა რეგისტრაციას, მათი პროფესიული გადამზადებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავებას, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებს; უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფას; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების იდენტიფიცირებას და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას, დამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას და სახდელის შეფარდებას.“.

2. მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას, მათ შორის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების იდენტიფიცირებას და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას, დამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას და სახდელის შეფარდებას.“.

3. მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების იდენტიფიცირებას და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას, დამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას და სახდელის შეფარდებას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — **იოსები ქარუმაშვილი**